

“დამტკიცებულია”

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა
და სპორტის კოლეჯის დირექტორის
2019 წლის 18.03 N 03-09 ბრძანებით

**სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ჩარჩო
დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
შემუშავების, დამატების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი**

ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში (შემდგომში - კოლეჯი) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში მოდულური პროგრამა) შემუშავების, დამატების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურებს.
2. დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ №121/ნ ბრძანების მე-41 მუხლის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 4 აგვისტოს „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ №733 ბრძანებისა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების საფუძველზე.

მუხლი 1. ახალი პროგრამის დამატების ინიცირება

- 1.1. ახალი პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი, სხვა დაინტერესებული პირი.
- 1.2. ახალი პროგრამის დამატების შესახებ დასაბუთებული ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით.

მუხლი 2. ახალი პროგრამის შემუშავება

- 2.1. ახალი პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგებლობა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
- 2.2. მოდულური პროგრამის დამატების მიზნით, სასწავლო პროცესში დირექტორის მოდაგილე და ხარისხის მართვის მენეჯერი იძიებენ შემდეგი სახის ინფორმაციას:

- შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებსა და დამსაქმებელთა კონკრეტულ მოთხოვნებს და ინიცირებით მიმართავენ კოლეჯის დირექტორს პროგრამის/მოდულური პროგრამის დამატების შესახებ;
- სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმების მაჩვენებლების მიხედვით და მზარდი ტენდენციების გათვალისწინებით;
- კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზს - ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილისა და დასაქმების შესახებ.

2.3. პროგრამის შემუშავების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილე, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი, შესაბამისი მიმართულების სპეციალისტები და შესაბამისი დარგის მასწავლებლები.

2.4. მოდულური პროგრამის შემუშავება ხდება ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

2.5. პროგრამებისა და მოდულების ადაპტირების დროს სამუშაო ჯგუფი ხელმძღვანელობს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად.

2.6. პროგრამებისა და მოდულების ადაპტირების პროცესი ასევე მოიცავს მატერიალური და ადამიანური რესურსის მოძიებას. ადამიანურ რესურსთან ფორმდება წინარე ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შედის პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებისთანავე. საჭიროების შემთხვევაში ასევე ფორმდება მემორანდუმები და ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტთან.

2.7. საგნობრივი პროგრამების ე.წ. მოდულური პროგრამებით ჩანაცვლების შემთხვევაში პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება საჭირო არ არის.

მუხლი 3. შემუშავებული პროგრამის შეფასება

3.1. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი შეფასების მიზნით წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

3.2. პროექტის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარვეზების გამოსწორების მიზნით უბრუნდება პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფს.

3.3. ხარვეზების გასწორების შემდეგ პროგრამის პროექტი თავიდან წარედგინება კოლეჯის დირექტორს, რომელიც აფასებს პროგრამის კორექტირებულ ვარიანტს.

3.4. დადებითი შეფასების შემთხვევაში შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 4. შემუშავებული პროგრამის დამატება

4.1. კოლეჯი შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების N301 მუხლის შესაბამისად.

4.2. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი აშაადებს სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენ დოკუმენტაციას - განაცხადს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ შესაბამის დანართებთან ერთად.

4.3. პროგრამის დამატების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ავტორიზაციის საბჭო საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.

4.4. საბჭო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) პროგრამის დამატების შესახებ; ბ) პროგრამის დამატებაზე უარის თქმის შესახებ;

4.5. პროგრამის დამატებაზე უარის თქმის შემთხვევაში, პროგრამა ხელახალი კორექტირებისა და მასში დაშვებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად უბრუნდება სამუშაო ჯგუფს.

4.6. ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კოლეჯი იწყებს პროგრამის განხორციელებას.

მუხლი 5. მოდულურ პროგრამაში ცვლილებების შეტანა

5.1. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

5.2. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს და პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელს. ცვლილების შესახებ უნდა შემუშავდეს წერილობითი მოხსენება, სადაც არგუმენტირებულად იქნება გაწერილი პროგრამაში შესატანი ცვლილებების საჭიროება.

5.3. მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში გამოიცემა ახალი აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

5.4. პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი.

5.5. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში უნდა განისაზღვროს პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე გავრცელდება აღნიშნული ცვლილება.

5.6. იმ შემთხვევაში თუ მოხდება პროგრამის განმახორციელებლების ცვლილება და ეს რაოდენობა 10% აღემატება. კოლეჯი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

მუხლი 6. არსებული პროგრამის გაუქმება

6.1. არსებული პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

- პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის ამოწურვა;
- პროფესიულ პროგრამაზე სწავლის მსურველთა არარსებობის გამო კონკრეტულ პროგრამაზე სწავლის შეწყვეტა 2 წლის განმავლობაში;
- ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის პროფესიული პროგრამის მოთხოვნებთან შეუსაბამობა;
- კონკრეტული პროფესიის კადრებზე შრომის ბაზარზე მოთხოვნის არარსებობა.

6.2. არსებული პროგრამის გაუქმების მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით.

6.3. არსებული პროგრამის გაუქმების მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით შექმნილ კომისიაში აუცილებელ წევრად უნდა განისაზღვროს კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესის დარგში დირექტორის მოადგილე, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი, დარგის სპეციალისტები და სხვ.

6.4. კომისია განიხილავს არსებული პროგრამის გაუქმების მიზანშეწონილობას და კოლეჯის დირექტორს წარუდგენს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას პროგრამის გაუქმების ან გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ.

6.5. არსებული პროგრამის გაუქმების შესახებ კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

6.6. არსებული პროგრამის გაუქმების შესახებ კოლეჯი წერილობით აცნობებს სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და მიმართავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის თხოვნით.